**თემა:** შთაბეჭდილებები და ემოციები
**ქვეთემა:** საცირკო წარმოდგენა
*საათების სავარაუდო რაოდენობა: 5+2 სთ*
კლასი: IVბ

**მაკროცნება/ მაკროცნებასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:**

| **კომპლექსური დავალებები (დასახელება)** | **სამიზნე ცნებები და ქვეცნებები** | **საკითხები** | **საკვანძო შეკითხვები** |
|---|---|---|---|
| 1. საცირკო წარმოდგენის შთამბეჭდავი ეპიზოდის ასახვა ფერადი გრაფიკის, აპლიკაციის ან/და შერეული ტექნიკით. | **1. სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**<br>**2. სახვითი ხელოვნების ტექნიკა;**<br>**3. სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები.**<br>**ხაზი-** სხვადასხვა ტიპის;<br>**ფერი** - ცივი და თბილი, კონტრასტული;<br>**ფორმა** - გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, ბრტყელი, მოცულობითი;<br>**პრინციპები** - კომპოზიციური განაწილების საფუძველი, დინამიკა;<br>**ტექნიკა** - ფერადი გრფიკა, აპლიკაცია, შერეული ტექნიკა | საცირკო წარმოდგენის შთამბეჭდავი ეპიზოდის გამოსახვა ნამუშევარში | • როგორ შეიძლება გამოვსახო საცირკო წარმოდგენის შთამბეჭდავი ეპიზოდი? |
| **გრძელვადიანი მიზანი**<br><br>**სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** | **ქვეცნებები:**<br>**ელემენტები:**<br>ხაზი-სხვადასხვა ტიპის;<br>ფერი(ცივი და თბილი, კონტრასტული)<br>ფორმა(გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, ბრტყელი, მოცულობითი)<br>**პრინციპები:** | **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები**<br>• როგორ შეიძლება გამოვსახო საცირკო წარმოდგენის შთამბეჭდავი ეპიზოდი?<br>• როგორ შეიძლება გადმოვცე ჩემი დამოკიდებულება და ავასხო ნამუშევარში ნანახით გამოწვეული შთაბჭდილებები და ემოციები? | **შუალედური სასწავლო მიზანი**<br><br>**კომპლექსური დავალების პირობა** |

<table>
<tr>
<td></td>
<td>კომპოზიციური განაწილების საფუძველი, დინამიკა;<br>ტექნიკა: ფერადი გრაფიკა, აპლიკაცია, შერეული ტექნიკა.</td>
<td>● რა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები გამოვიყენო იმისათვის, რომ გადმოვცე ჩანაფიქრი?</td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td>1. სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგები: ს.გ.დაწყ.(I).1,4,5)<br><br>სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და პრინციპებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.)<br><br>2. სახვითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგები: ს.გ.დაწყ.(I).2,4)<br><br>ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას.<br><br>3. სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):<br><br>I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა<br>როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?<br><br>აქტივობა 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.<br><br>საცირკო წარმოდგენის შთამბეჭდავი ეპიზოდის ასახვა ფერადი გრაფიკის, აპლიკაციის ან/და შერეული ტექნიკით.<br><br>II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი<br>ნაბიჯი 1. ცირკი ცნობილი მხატვრების შემოქმედებაში<br>რესურსი/აქტიბობა:<br>● (ბმული)<br><br><table><tr><td>სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები</td><td>● შენი აზრით როგორი განწყობილება სუფევს ამ ნამუშევრებში?<br>● რა მოქმედებაა ასახული თითოეულ მათგანზე?<br>● როგორ ფერებს იყენებენ მხატვრები ემოციის, განწყობილების გადმოსაცემად?<br>● რატომ უყვართ ბავშვებს/უფროსებს ცირკი?</td></tr></table></td>
<td>ფერადი გრაფიკის, აპლიკაციის ან შერეული ტექნიკის საშუალებით გააცოცხლე საცირკო ან თეატრალური წარმოდგენის შთამბეჭდავი ეპიზოდი.<br>ნამუშევრის შესაქმნელად შეარჩიე შესაბამისი მასალა;<br>გამოსახულებები კომპოზიციურად ისე გაანაწილე რომ გადმოსცე შენი ჩანაფიქრი (მხიარული, ფერადოვანი, საზეიმო განწყობა)<br>სახასიათო პერსონაჟების გადმოსაცემად გამოიყენე შესაბამისი ხაზები და ფერები;<br>ნამუშევარში გადმოეცი დინამიკა.<br><br>ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე, ხაზგასმით წარმოაჩინე:<br>● რა მასალა და ტექნიკა გამოიყენე ჩანაფიქრის გადმოსაცემად? (სამ.ცნება 2)<br>● როგორ გაანაწილე კომპოზიცია? როგორ გადმოეცი ემოცია? შთაბეჭდილება?(სამ.ცნება 1)</td>
</tr>
</table>

*(შედეგები: ს.გ.დაწყ.(I).1,2,3,4,5,6)*

- ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება;
- სახვითი ხელოვნების დარგების ნამუშევრები იქმნება სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით, თუმცა თითოეული დარგისთვის რომელიმე ელემენტია მეტად დამახასიათებელი.
- ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.

| | |
|---|---|
| | • რატომ არის საცირკო წარმოდგენა საინტერესო ნებისმიერი ადამიანისთვის? სასიამოვნო მოზარდებისთვის? |

**ნაბიჯი 2.** როგორ გამოვიყენო **მასალა და ტექნიკა** ჩანაფიქრის გადმოსაცემად?

**რესურსი/აქტიბობა:**

მასალა – https://school.emis.ge/Art-Class/Magic-world/10-1-1.html

გრაფიკა – https://school.emis.ge/Art-Class/VR_exhibition/31-9.html

მოსწ.წგ. ფერადი გრაფიკა– https://drive.google.com/file/d/1WrG-xHl4ryDLgNCyWlhJ42PZ4arqHSdb/view?usp=sharing

https://1tv.ge/video/sakhviti-khelovneba-iii-iv-klasi-grafika-teleskola/

აპლიკაცია – https://school.emis.ge/Art-Class/Magic-world/10-1-2-2.html

მოსწ.წგ. აპლიკაცია– https://drive.google.com/file/d/1ySA4dCfrpa_sZGDDYh-HutxAQvx4FXEX/view?usp=sharing

https://artsycraftsymom.com/10-circus-crafts-and-activities-for-kids/#1_Paint_Stick_Clown_Puppets

მოსწავლეები ეცნობიან ფერადი გრაფიკის, აპლიკაციის და შერეული ტექნიკით შესრულებულ ნიმუშებს და ქმნიან ნამუშევარს ამ ტექნიკით;

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები** | • რა არის **ფერადი გრაფიკა?**<br>• რა მასალისა და ტექნიკის გამოყენებით იქნება გრაფიკული ნამუშევრები? |

- ჩანაფიქრის შესაბამისად როგორ გამოიყენე **ხაზი, ფერი** ნამუშევარში?**(სამ.ცნება 1)**
- როგორ გადმოეცი **დინამიკა?(სამ.ცნება 1)**

**მაკროცნება და მასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:**

| | |
|---|---|
| **ქვეცნება:** გრაფიკა (შავ-თეთრი/ფერადი, აპლიკაცია, შერეული ტექნიკა | • რომელი მხატვრული ხერხები და ელემენტებია წამყვანი **გრაფიკის ტექნიკაში?**<br>• რა არის **აპლიკაცია**?<br>• რა მასალის გამოყენებით შემიძლია შევქმნა **აპლიკაცია**?<br>• როგორ შემიძლია **სხვადასხვა ხაზის, ფერის** და დამატებითი მასალის გამოყენებით გადმოვცე ჩანაფიქრი, ემოცია, განწყობა? |

**ნაბიჯი 3.** როგორ გამოვიყენო **ფერები** იმისთვის რომ შევქმნა ნამუშევარში საზეიმო, შთამბეჭდავი განწყობა?

**რესურსი/აქტივობა:**
მოსწ.წგ. კონტრასტული ფერები-https://drive.google.com/file/d/1N0g0GhXDo8qY9hBqiAVBd6YP2sd490nm/view?usp=sharing
https://school.emis.ge/Art-Class/Calm_&_stormy/3-1.html
კონტრასტული ფერები (ტელესკოლა-ანი გოგორიშვილი)
(ბმული 1, ბმული 2)
მოსწავლეები ფერების გამოყენებით ქმნიან ნამუშევრებს და გადმოსცემენ შესაბამის განწყობას.

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები** | • როგორ ფერებს ვუწოდებთ **კონტრასტულ ფერებს?**<br>• რატომ იყენებენ ჯამბაზების სამოსში და ცირკის დეკორაციებში **კონტრასტულ ფერებს,** როგორ ფიქრობ რატომ? |

| | |
|---|---|
| **ქვეცნება:** ფერი (ცივი და თბილი, კონტრასტული) | • როგორ გამოვიყენო **ფერის** მახასიათებლები და შესაძლებლობები შთაბეჭდილების/ემოციის გადმოსაცემად? |

**ნაბიჯი 4.** როგორ შევძლო სხვადასხვა **ხაზისა და გეომეტრიული ფორმების** გამოყენებით ადამიანების და ცხოველების ასახვა ნამუშევარში?
**რესურსი/აქტივობა:**
https://school.emis.ge/Art-Class/Adventure/4.html
https://school.emis.ge/Art-Class/Adventure/5-1.html
https://school.emis.ge/Art-Class/Adventure/5-2.html
https://school.emis.ge/Art-Class/Forest/6-2.html
https://school.emis.ge/Art-Class/Forest/8.html
https://school.emis.ge/Art-Class/Forest/7.html
https://school.emis.ge/Art-Class/VR_exhibition/21.html
https://school.emis.ge/Art-Class/VR_exhibition/22.html

- დამხმარე რესურსი მასწავლებლებისთვის

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები**<br>**ქვეცნება:** ხაზი, ფორმა | • როგორ შეიძლება სხვადასხვა **ხაზების და გეომეტრიული ფორმების** საშუალებით გამოვსახოთ ადამიანები და ცხოველები ნებისმიერ მოძრაობაში?<br>• როგორ გამოვსახოთ სხვადასხვა მიმიკა ჯამბაზების მხიარული, სევდიანი განწყობის გადმოსაცემად? |

**ნაბიჯი 5.** როგორ გავანაწილო გამოსახულებები ისე რომ შევქმნა **დინამიკური კომპოზიცია?**

**რესურსი/აქტივობა:**
https://school.emis.ge/Art-Class/daily-news-11/18-1.html

https://school.emis.ge/Art-Class/VR exhibition/9-1.html

მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა ტიპის **დინამიკურ კომპოზიციებს** და ასახავენ ნამუშევარში.

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები**<br>**ქვეცნება:** კომპოზიციური განაწილების საფუძველი, დინამიკა | • კომპოზიციის რა ტიპებს იცნობ?<br>• როგორ გავანაწილო გამოსახულებები ნამუშევარში დინამიკური კომპოზიციის გადმოსაცემად?<br>• რა მხატვრული საშუალებებითა და ხერხებით შეიძლება გადმოვცე დინამიკა, მოძრაობა ნამუშევარში? |

**მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:**

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- როგორ შეძელი ნამუშევარში განწყობის გადმოცემა?
- რა ეპიზოდი ასახე?
- როგორ გადმოეცი ნამუშევარში შთაბეჭდილება და ემოცია?
- რა საკითხს შეეხება შენს მიერ მომზადებული დავალება?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?